კვლევის ჩატარებაზე თანხმობა მიღებულ იქნა კავკასიის უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს მიერ (CAU No. 012/23). რესპოდენტები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული კვლევის მიზნების შესახებ. ასევე, ხაზგასმული იყო ორგანიზაციის კონფიდენციალურობის მკაცრად დაცვა და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის არაკეთილსინდისიერად გამოყენების

რისკის არარსებობა. რესპოდენტებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ კვლევაში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე. კვლევის ყველა მონაცემი იდენტიფიცირებული იყო ინდივიდუალური კოდებით. მონაცემები წარმოდგენილ იქნა პირადი იდენტიფიკაციის გარეშე.

სადაზღვევო ზარალების კორექტირებების შესახებ სტატისტიკური მონაცემებიდან და სადაზღვევო კომპანიის შიდა სამუშაო ფაილებიდან გადმოგზავნამდე მოხდა იმ ინფორმაციის ამოღება, რომელიც კვლევის პროცესში დაარღვევდა კონფიდენციალურობას. შესაბამისი ინფორმაციის ამოღებისთანავე აღნიშნული ფაილები განადგურდა.

შედეგები

2020-2022 წლების მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით არსებული კლინიკა/ჰოსპიტლების მიერ სადაზღვევო კომპანიებში წარმოდგენილი იქნა 1,282,472 ინდივიდუალური შემთხვევა, რომელთა ჯამური სრული ღირებულება განისაზღვრა 58,228,529,85 ლარით, აქედან კორექციას დაექვემდებარა 1,034,145,28 ლარი, რევიზიას დაექვემდებარა 216,058,09 ლარი, საბოლოოდ კი ანაზღაურებას დაქვემდებარებულმა თანხამ შეადგინა 56,946,692.03 ლარი.

2020 წლის მონაცემები მკვეთრად განხვავდება მომდევნო წლების მონაცემებისგან, რადგან კოვიდ პანდემიის გავლენა პირდაპირ აისახებოდა სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაზე. 2020 წელს შემთხვევათა რაოდენობა განისაზღვრა 298,192 ინდივიდუალური შემთხვევით, სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 9,958,950.72

ლარი, კორექციას დაექვემდებარა 135,421.21 ლარი, რევიზიას – 24,394.49 ლარი, საბოლოოდ კი ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 9,787,351.6 ლარი.

2021 წლის მონაცემების მიხედვით, სულ სამედიცინო დაწესებულებებში დაფიქსირდა 623,347 შემთხვევა, წარმოდგენილმა ღირებულებამ შეადგინა 20,826,752.42 ლარი, საიდანაც კორექცია შეადგენდა 382,517.83 ლარს, ხოლო რევიზია 51,726.76 ლარს, საბოლოოდ ასანაზღაურებელი თანხის ღირებულებამ შეადგინა 20,382,290.51 ლარი.

2022 წელს შემთხვევათა რაოდენობა განისაზღვრა 360,933 ინდივიდუალური შემთხვევით, სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 27,442,826.71 ლარი, კორექციას დაექვემდებარა 516,206.24 ლარი, რევიზიას – 139,936.84 ლარი, საბოლოოდ კი ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 26,777,049.92 ლარი. (იხ. ცხრილი 1)

ამ თანხების ძირითადი ნაწილი შედგება ჰოსპიტალური სერვისის მქონე დაწესებულებების შესრულებებისგან. თუ განვიხილავთ თითოეული ტიპის დაწესებულების მონაცემებს წლების მიხედვით, ვნახავთ, რომ 2020 წლის სრული წარმოდგენილი თანხის 56.92%-ს იკავებს ჰოსპიტალური დაწესებულებების ანგარიშ ფაქტურები, კორექტირების ნაწილში სრული თანხის 38.22%-ს იკავებს, რევიზიის შემთხვევაში კი 100%-ია. შესაბამისად, ანაზღაურებული თანხის 57.03%-ი გადარიცხულია ჰოსპიტლებში. ამბულატორიული დაწესებულებების შემთხვევაში ეს პროცენტები შემდეგნაირად ნაწილდება: ასანაზღაურებელად წარმოდგენილი თანხა სრული შესრულების 7.01%, კორექცია – 4.16%, რევიზია – 0%, ასანაზღაურებელი – 7.08%. სტომატოლოგიუ-

ცხრილი 1: სადაზღვევო კომპანიებისადმი მოთხოვნილი და დაკოხეჭიხებური თანხა, 2020-2022 წლები

	შემთხვევათა რაოდენობა	წარმოდგენილი სრული ღირებულება	კორექციას დაექვემდებარა	რევიზიას დაექვემდებარა	ანაზღაურებული თანხა
2020	298,192	9,958,950.72	135,421.21	24,394.49	9,787,351.6
2021	623,347	20,826,752.42	382,517.83	51,726.76	20,382,290.51
2022	360,933	27,442,826.71	516,206.24	139,936.84	26,777,049.92
ჯამი	1,282,472	58,228,529.85	1,034,145,28	216,058,09	56,946,692.03

ცხრილი 2: სადაზღვევო კომპანიებისადმი მოთხოვნილი და დაკოხეჭიხებული თანხები სამედიცინო მომსახურების გიპის მიხედვით, 2020-2022 წლები

	წარმოდგენილი სრული ღირებულება	კორექციას დაექვემდებარა	რევიზიას დაექვემდებარა	ანაზღაურებული თანხა
ჰოსპიტალი	31,206,172	380,413	30,133	30,768,049
ამბულატორია	6,139,702	36,496	10,908	6,091,923
სტომატოლოგია	3,936,683	26,661		3,906,336
ფარმაცია	16,945,971	590,573	175,016	16,180,382
ჯამი	58,228,529	1,034,145	216,058	56,946,692

რი კლინიკების შემთხვევაში: წარმოდგენილი თანხა – 7,75%, კორექცია 4.99%, ანაზღაურებული – 7.8%. ფარმაცევტული კომპანიების შემთხვევაში კი, წარმოდგენილი თანხა სრული თანხის 28.32%-ია, კორექცია – 52.64%, რევიზია – 0%, ანაზღაურებული – 28.09%.

2021 წლის შემთხვევაში ჰოსპიტლების მიერ წარმოდგენილი თანხა სრული თანხის 53.85%-ია, კორექცია – 39.74%, რევიზია – 8.21%, ანაზღაურებული – 54.21%. ამბულატორიების შემთხვევაში წარმოდგენილი შემთხვევები 9.30%-ია, კორექტირებული – 2.48%, რევიზია 21.09%, გადახდილი კი 9.49%. სტომატოლოგიის შემთხვევაში – წარმოდგენილი თანხა სრული ღირებულების 6.41%-ია, კორექტირებული – 2.25%, რევიზია – 0%, გადახდილი თანხა კი – 6.51%. რაც შეეხება ფარმაცევტულ კომპანიებს, ამ შემთხვევაში პროცენტები შემდეგნაირად გადანაწილდა: წარმოდგენილი თანხის ღირებულება – 30.45%, კორექტირებული თანხის ღირებულება – 60.50%, რევიზია – 70.70%, გადახდილი თანხა კი – 29.79%.

2022 წლის მონაცემებში ისევ ჰოსპიტალური სექტორია დომინანტი და სრული წარმოდგენილი თანხის 52.19% იკავებს, საიდანაც კორექტირება 34,22%-ია, რევიზია – 1.07%, ხოლო გადახდილია სრული თანხის 52,80%. ამბულატორიის შემთხვევაში პროცენტები შემდეგნაირად ნაწილდება: წარმოდგენი-

ლი თანხა სრულად წარმოდგენილი თანხის 12,77%-ია, კორექტირებული – 7.82%, რევიზია – 0%, ხოლო გადახდილი თანხა, სრულად გადახდილი თანხის 12.94%-ია. სტომატოლოგიური კლინიკების შემთხვევაში წარმოდგენილი ღირებულება 6.67%-ია, კორექტირებული – 2.19%, რევიზია – 0%, გადახდილი თანხა კი – 6.78%. ფარმაცევტული კომპანიების ნაწილში კი 28,37%, კორექცია – 55,77%, რევიზია – 98.93%, გადახდილი კი, სრულად ანაზღაურებული თანხის 27,48%. მიმდინარე 2023 წლის ექვსი თვის მონაცემების მიხედვით პოზიციები შეცვლილი არ არის, პირველ ადგილს ისევ ჰოსპიტალური დაწესებულებები იკავებენ, შემდეგ ფარმაცევტული კომპანიები, მათ მოყვება ამბულატორიული და ბოლოს – სტომატოლოგიური კლინიკები. (იხ. ცხიდი 2, ცხიდი 3)

თვისებრივი კვლევა

1. რატომ არის სადაზღვევო კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ჰყავდეს ბევრი პროვაიდერი კლინიკა?

I რესპოდენტი:

ახსებობს მხავადი მიზეზი, თუ ჩაგომ აჩის მნიშვნელოვანი სადაზღვევო კომპანიისთვის ჰყავდეს მხავადი პროვაიდერი კლინიკა:

ზრუნვაზე ხედმისაწვდომობის გაზიდა: პროვაიდერი კლინიკების მხავადფეხოვანი ქსედის

ცხრილი 3: კოხეჭიხების მიზეზები (დახებში) (2020-2022 წწ.)

ფასდაკლება	დაგვიანება	დოკუმენტაცია	სხვა	სულ კორექტირება
98,012	238,597	657,480	40,052	1,034,143
9.48 %	23.07%	63.58%	3.87%	100%

ახსებობა უზრუნველყოფს, რომ დაზღვეულებს ჰქონდეთ წვდომა ჯანდაცვის სერვისებისა და პროვაიდერების ფართო სპექტრზე. ეს საშუალებას აძლევს ინდივიდებს აიჩიონ კლინიკა, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მათ საჭიროებებს ადგილობრივი სერვისების, სპეციალისტებისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

მომხმარებელთა კმაყოფილების ზედა: სხვადასხვა პროვაიდერის კლინიკების შეთავაზებამ შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა უფრო მაღალი კმაყოფილება. როდესაც დაზღვეულებს აქვთ აჩივანი და ადვილად პოულობენ კლინიკას, რომელიც აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, დაზღვეულები უფრო კმაყოფილი იქნებიან სადაზღვევო დაფაჩვით და მიღებული მომსახურების ხარისხით.

ქსელის ადეკვატურობა: მრავალი პროვაიდერი კლინიკის შენაჩივრება ხელს უწყობს ქსელის ადეკვატურობის უზრუნველყოფას. ეს ნიშნავს, რომ ხელმისაწვდომია საკმაოდ კლინიკები დაზღვეულის ჯანდაცვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ხაც ხელს უშლის დოქტორის ხანგრძლივ პეიროდს და აუმჯობესებს დროულ დახმარებას.

სახტოფექტუი სერვისები: პროვაიდერი კლინიკების ფართო ქსელის ახსებობა სადაზღვევო კომპანიებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ უკეთესი გაჩივები და კონტრაქტები ჯანდაცვის პროვაიდერებთან. ამან შეიძლება გამოიწვიოს ხატების დაზოგვა როგორც სადაზღვევო კომპანიისთვის, ასევე დაზღვეულთათვის, ხადგან კლინიკებმა შეიძლება შესთავაზონ ფასდაკლებული გაჩივები ან მონაწილეობა მიიღონ ხატების განაწილების ღონისძიებებში.

საერთო ჯამში, ხამდენიმე პროვაიდერი კლინიკის ახსებობა თავის ქსელში საშუალებას აძლევს სადაზღვევო კომპანიას შესთავაზოს ჯანდაცვის ვაჩიანტების ფართო სპექტრი, გაზაღდოს მომხმარებელთა კმაყოფილება, უზრუნველყოს ქსელის ადეკვატურობა.

II რესპოდენტი:

სადაზღვევო კომპანია აჩის ფინანსური რეგანიზაცია, რომლისთვისაც, პიხვედ რიგში, უპიხატესია დაზღვეულთა ხოდენობა და მათ მიეჩ დაწესებული ფინანსური დიმიტების გამოყენება. ბევრი პროვაიდერის ახსებობა სადაზღვევო კომპანიას აძლევს ბევრი ბენეფიცი, პიხვედ რიგში კი, – დაფინანსების ვადების კონტროლის საშუალებას, ანუ ზაზარის გადავადების შესაძ-

ლებლობა გიჩნდება, ხადგან თუ დაზღვეული მიღის აჩაპროვაიდერი კლინიკაში, ამ შემთხვევაში სადაზღვევოს თანხა ასანაზღაურებელი აქვს იმ მომენტშივე, ხოცა დაზღვეული გადმოგზავნის დოკუმენტაციას. მაგჩამ თუ ის მივა პროვაიდერი კლინიკაში, ამ შემთხვევაში ხდება ფინანსების გადავება, ხადგან კომპანიას ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს ვადები, ამ შესხულების დასამუშავებლად. შესაბამისად თანხის ანაზღაურება გიწევს აჩა მომსახურების მომენტშივე, აჩამედ ეჩიო-რჩიო თვის ფაჩგლებში. მეოჩე რიგში, ხაც უფრო მეტი პროვაიდერი ყავს სადაზღვევო კომპანიას მით უფრო მეტი დაზღვეულის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

III რესპოდენტი:

ბევრი პროვაიდერი კლინიკა გვადევს საშუალებს, დაზღვეულებს შევთავაზოთ აჩივანი, როგორც სხვადასხვა პროფილის, ასევე, მომსახურების ხარისხის და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კუთხით.

2. რა კრიტერიუმების გათვალისწინებით ადგენენ სადაზღვევო კომპანიები პროვაიდერულ კონტრაქტს სამედიცინო დანესებულებებთან?

I რესპოდენტი:

სადაზღვევო კომპანიები აფოჩმებენ პროვაიდერის კონტრაქტებს სამედიცინო დაწესებულებებთან ხამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული კომპანიისა და მისი მიზნების მიხედვით. მაგჩამ აჩსებობს ხამდენიმე საერთო კრიტერიუმს, რომელსაც სადაზღვევო კომპანიები ითვადისწინებენ პროვაიდერის კონტრაქტების გაფოჩმებისას. უპიხვედესად, სადაზღვევო კომპანიები აფასებენ, შეუძლია თუ აჩა სამედიცინო დაწესებულებას დააკმაყოფილოს მათი დაზღვეულის ჯანდაცვის საჭიროებები გეოგრაფიული დაფაჩვის და სერვისების მიწოდების შესაძლებლობების თვალსაზრისით. მათი მიზანია უზრუნველყონ, რომ მათი ქსელი მოიცავდეს პროვაიდერთა საკმაოდ ხოდენობას და მრავალფეროვნებას ყოვლისმომცვერი მომსახურების შეთავაზებისთვის. სადაზღვევო კომპანიები აფასებენ სამედიცინო დაწესებულებების მიეჩ დაწესებული მომსახურების ხარისხს. ეს შეფასება შეიძლება მოიცავდეს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სამედიცინო დაწესებულების აკრედიტაცია, სერტიფიკატი, პაცი-

ენგის მკუხნადობის შედეგები, პაციენტების კმაყოფილების გამოკითხვები და მახეგუდიხებულ სტანდარტებთან შესაბამისობა. მზღვევლებს უჩვენიათ პაჩტნიოხობა იმ სამედიცინო ოჩგანიზაციებთან, ომდებიც იცავენ მაღალი ხაჩისხის სტანდარტებს.

3. ძირითადი მიზეზები, რის გამოც ხდება წარმოდგენილი თანხის კორექტირება

I რესპოდენტი:

სამედიცინო დაწესებულების მიეჩ წაჩმოდგენილი თანხის კოჩექტირების ძიჩითადი მიზეზებია უჩგენტუდ შემთხვევებში მზღვევედისთვის შეტყობინების გადაცემის გამოჩრენა ან აჩასწოჩად დატოვებული შეტყობინება, ფასდაკლების გამო კოჩექტირება.

III რესპოდენტი:

სამედიცინო დაწესებულების მიეჩ წაჩმოდგენილი თანხის კოჩექტირების ძიჩითადი მიზეზებია აჩასხუდი დოკუმენტაციის წაჩმოდგენა, აჩავადილუჩი მიმაჩთვით მომსახუჩების გაწევა, პიჩადობის დოკუმენტაციის გამოჩრენა, დიავნობთან შეუსაბამობა, დაზღვეუდის ოჩკოსპიტადიზაცია ეჩთი სამედიცინო დაწესებულებიდან მეოჩეში მოხვედჩისას დჩოის მოკლე პეჩიოდში და სხვ.

4. დაკორექტირების შემდეგ ანაზღაურების დროში განუღვის მიზეზები

I რესპოდენტი:

იქიდან გამომდინაჩე, ომ სამედიცინო დაწესებულებას სუჩს დჩოუდად მიიღოს ანაზღაურება და ხედშეკუჩულებით დადგენილ ვადებში მოახდინოს ოჩევიჩება, მის ინტეჩეხებშია სადაზღვევო კომპანიას დჩოუდად გასცეს დასაბუთებული პასუხი. სამედიცინო დაწესებულების მიეჩ კოჩექტირების საპასუხოდ წაჩდგენილი აჩგუმენტის შემდეგ შეიძლება მოხდეს მზღვევედის მიეჩ პოცესის დჩოში გაწედვა, ომ გაახანგჩდღივოს ანაზღაურების პეჩიოდი. შესაძლოა პობდემუჩი თანხების გადაჩიცხვა გაიწედოს ოჩი, სამი თვის ან უფჩო მეტი ხნის განმავდობაში.

II რესპოდენტი:

თუ კოჩექტირების დეგადებში გაჩკვევა და შეთანხმება ვეჩ მოხდა, მაშინ პობდემის აღმოფხვჩაში ეჩთვება აუდიტოჩუდი სამსახუჩი და ავჯიღუ ცდილობენ სამედიცინო ისტოჩიის შესწავლას. დამამტკიცებელი საბუთების მოპოვების შემდეგაც თუ ვეჩ შეძდეს მხაჩეებ-

მა შეთანხმება, მაშინ საკითხი გადადის იუჩი-დიუდ დეპაჩტამენტში და შემდეგ უმაღდეს სასამაჩთლოში ხდება შემთხვევების განხილვა.

5. შესრულების წარდგენის და ვადების დარღვევის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიის და სამედიცინო დაწესებულების ქცევა

I რესპოდენტი:

სადაზღვევო კომპანიას უფდება აქვს აჩ ჩაიბაჩოს სამედიცინო დაწესებულების მიეჩ წაჩმოდგენილი დოკუმენტაცია, თუ ის ცდება ხედშეკუჩულებით გათვადისწინებულ ვადებს. სადაზღვევო კომპანიის მხიდან ანაზღაურების დაგვიანების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულება უფდება მოსიღია გამოითხოვს ინფოჩმაციას ამის თაობაზე, მოითხოვოს ანგაჩიშგება და სუჩვიდის შემთხვევაში შეწყვიტოს სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხედშეკუჩულება.

6. რამდენად ხშირად ირღვევა ხელშეკრულების პირობები?

I რესპოდენტი:

ხედშეკუჩულების პირობების დაჩღვევის ნებისმიეჩი შემთხვევა მკვეთჩად აისახება სამედიცინო დაწესებულების და სადაზღვევო კომპანიების უჩთიეჩთაზე, ამიტომ ოჩივე მხაჩე ცდილობს თითოეუდი ნაბიჯი აცნობოს ეჩთმანეტს, მაგჩამ მაინც თუ მოხდა მსგავსი ჩამ, ამ დჩოს ოჩივე მხაჩე ცდილობს გაითვადისწინოს თითოეუდის მნიშვნელობა.

II რესპოდენტი:

საკმაოდ ხშიჩია, ოჩი კონტოდიც ხდება უშუადოდ მუშაობის პოცესში აღმოჩენილი შემთხვევებიდან გამომდინაჩე, აჩ იცავენ წინასწაჩ შეთანხმებულ ვადებს, ფასებს.

III რესპოდენტი:

ხშიჩია, თუმცა ოთუდია ზედმიწევნით დაიცვა ხედშეკუჩულების პირობები, ოდესაც პოვადიეჩი კლინიკა პოპუდაჩობით საჩგებდოს დაზღვეულებში.

7. როგორია წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაკორექტირების ძირითადი მიზეზები?

II რესპოდენტი:

სამედიცინო დაწესებულებების წაჩმოდგენილი დოკუმენტაციის კოჩექტირების მიზეზები მჩავადგვაჩია, თუმცა ძიჩითადად გამოწვეუდია აჩასხუდყოფილი დოკუმენტაციის, შეუსაბამო

დიაგნოზების, დუბლირებული მონაცემების მოწოდების, ვადების დახლვევის გამო.

III რესპოდენტი:

კოხეტიციების მიზების პოვნა ძალიან მაჩვივია, თუმცა, ხოცა ადამიანს უშდება, საშუალებას ვაძღვევთ წახმოგვიდგინოს შესწოხებული დოკუმენტაცია.

8. რამდენად ხშირია რევიზიის შემთხვევა?

III რესპოდენტი:

ხოდესაც სადაზღვევო კომპანიის ხომედიმე თანამშრომელს უჩნდება კითხვები და ეჭვი ეპაჩება წახმოდგენილ დოკუმენტაციაში, ჩნდება ხევიზიის საჭიხოება და კდინიკაში გზავნის აუდიტოხებს.

დისკუსია

სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც აქვთ საკუთარი სამედიცინო დაწესებულება, მათ მიერ დაქირავებულ ოჯახის ექიმებს მიუთითებენ, ზოგ შემთხვევაში, ავალდებულებენ დაზღვეულთა მიმართვას მათ სამედიცინო ორგანიზაციებში, რითაც ცდილობენ თავიდან აირიდონ ზედმეტი ხარჯები. ასეთ შემთხვევებში ნაკლებად ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაკორექტირება სხვადასხვა დარღვევების გამო.

მეორე მხრივ, სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც არ აქვთ საკუთარი სამედიცინო დაწესებულება, ხელშეკრულებას აფორმებენ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან, მათი დაზღვეულებისთვის შეუფერხებელი მომსახურების მიწოდებისთვის. ამ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიები ოჯახის ექიმებს არ მიუთითებენ დაზღვეულთა მიმართვას რომელიმე სამედიცინო ორგანიზაციაში. თუმცა, სადაზღვევო კომპანიები დაზღვეულებს მუდმივად აწვდიან ინფორმაციას კლინიკების სანოლების დატვირთვის შესახებ და ცდილობენ შესთავაზონ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, რათა არ წარმოიქმნას პრობლემები, რაც გაზრდის დაზღვეულთა უკმაყოფილებას.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო დაწესებულება კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით უზრუნველყოს მზღვეველის მიერ დაზღვეული პირები სამედიცინო

მომსახურებით. თავის მხრივ, მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას, დროულად და სრულად გადაუხადოს სამედიცინო დაწესებულებას განუული სამედიცინო მომსახურების ღირებულება შესაბამისი პოლისით განსაზღვრული დაფარვების/ლიმიტებისა და ამ ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ტარიფების შესაბამისად. სამედიცინო დაწესებულებასა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ბერკეტს, რომლის მიხედვითაც გეგმავენ ურთიერთობას მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში. თუ თანამშრომლობა სტაბილურად მიმდინარეობს და არცერთი მხარის მიერ არ ხდება სერიოზული დარღვევა, შემდეგ წლებში ხელშეკრულება გრძელდება შეთანხმების საფუძველზე, იდენტური პირობებით, მანამ სანამ ძირეულად არ გახდება საჭირო ხელშეკრულების პუნქტების ჩასწორება.

ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მასში მნიშვნელოვანი როლი უკავია შესრულებული სამუშაოს წარდგენისა თუ დამუშავების ვადებს, ანაზღაურების დეტალებსა და ფასებს. სამედიცინო დაწესებულება იღებს ვალდებულებას – სათანადო მომსახურება გაუწიოს დაზღვეულს, თუმცა თუ ადგილი ექნება მცდარ სამედიცინო ქმედებას, საანგარიშგებო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენას, პაციენტის კლინიკაში შესვლისას ან არაუგვიანეს 24 საათში მზღვეველისთვის ინფორმაციის მიწოდებლობას, შეთანხმებული ლიმიტებისა და ტარიფების გაუთვალისწინებლობას, გართულების შემთხვევაში, დაზღვეულის შეთანხმებულ დროზე მეტი ხნით დაყოვნებას და სხვა დეტალებს, ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია იტოვებს უფლებას ადგილზევე შეამოწმოს დამდგარი ზარალის სამართლიანობა, ან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რათა დარწმუნდეს შემთხვევის ავთენტურობაში. სადაზღვევო კომპანია იღებს ვალდებულებებს, რომ მიანოდოს სამედიცინო დაწესებულებას ინფორმაცია დაზღვეულის დარჩენილი ლიმიტების, დაფარვის მოცულობისა და დამდგარ შემთხვევის ანაზღაურების ან არანაზღაურების შესახებ ახსნა-განმარტება.

სამედიცინო დაწესებულებისათვის მთავარია შემოსავლების გაზრდა და სწორი ბიუჯეტირება. მათი მიზანია შემოსავლების მაქსიმალურად აკუმულირება და სამომავლო მიზნებისთვის სწორი გადანაწილება. სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსება ხორციელდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით და კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული თანხებით.

სამედიცინო დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების კორექტირება ხდება სამი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: ანაზღაურება, ვადები და ფასდაკლება.

ანაზღაურება

სამედიცინო დაწესებულების და სადაზღვევო კომპანიას შორის ხარისხიან თანამშრომლობაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ანაზღაურება. თუ რომელიმე მხარე უკმაყოფილოა ანაზღაურების საკითხით, ეს პირდაპირ აისახება მათ ურთიერთობაზე. როდესაც სამედიცინო დაწესებულება არ უწევს შესაბამის, ხარისხიან მომსახურებას კონკრეტულ დაზღვეულს, ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს სადაზღვევო კომპანიაზე.

როდესაც სამედიცინო დაწესებულების მიერ სადაზღვევო კომპანიისთვის ანაზღაურების არასმართლიანად მოთხოვნის შემთხვევები ხშირია, სადაზღვევო კომპანია ცდილობს თავისი დაზღვეულების გადამისამართებას სხვა მისთვის მისაღებ სამედიცინო დაწესებულებაში. მზღვეველის მიერ სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად. სამედიცინო დაწესებულება მომსახურებებზე მზღვეველის სასარგებლოდ ავრცელებს ფასდაკლებებს და ეს ფასდაკლება გაანგარიშდება შესრულების სრული ღირებულებიდან. ანაზღაურება მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. საანგარიშგებო თვის დასრულების შემდეგ მზღვეველს წარედგინება იმ დაზღვეულების ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომლებმაც კონკრეტულ თვეში მიიღეს მომსახურება და ასევე, შესაბამისი თვის ჯამური ანგარიში.
2. ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ორივე მხარისთვის წარმო-

ადგენს ვალდებულების საბუთს და აქედან გამომდინარე, ხდება ანგარიშწორება. ამ საბუთის მიხედვით მიწოდებული დოკუმენტაციის დაკარგვის ან შემთხვევით განადგურების შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება თავისუფლდება ვალდებულებისგან და სადაზღვევო კომპანიას უწევს სრულად ანაზღაუროს შემთხვევა.

3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამონურვამდე სადაზღვევო კომპანია ამუშავებს წარდგენილი შესრულებული სამუშაოს რეესტრს და დოკუმენტაციას, გამოითხოვს გამორჩენილ საბუთებს და შემდეგ უკვე ახორციელებს თანხის გადარიცხვას სამედიცინო დაწესებულებისთვის.
4. თუ დამუშავების ვადის ამონურვამდე სამედიცინო დაწესებულება წერილობით შეატყობინებს სადაზღვევო კომპანიას გამორჩენილი შემთხვევების შესახებ, ამ შემთხვევაშიც, მზღვეველი ვალდებულია მიიღოს დაგვიანებით წარდგენილი შესრულება, დაამუშაოს და მოახდინოს ანაზღაურება.
5. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ორ დაწესებულებას შორის ურთიერთანამშრომლობა მიმდინარეობს სპეციალურად შეთანხმებული ფასების მიხედვით. სამედიცინო დაწესებულებას ფასების შეცვლის უფლება აქვს და თუ დროულად აცნობა მზღვეველს ამის შესახებ, მაშინ დამუშავების პროცესიც ახალი ფასების მიხედვით წარიმართება, მაგრამ თუ ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დროულად არ მოხდა და მხოლოდ დამუშავების პროცესში გახდა მზღვეველისთვის ცნობილი, ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია იტოვებს უფლებას, დოკუმენტაცია დამუშავდეს ძველი ტარიფის მიხედვით.

ვადები

სამედიცინო დოკუმენტაციის დამუშავების ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულებით. ხელშეკრულების პირობების თანახმად,

დამუშავების პროცესის ვადები ძირითადად განსაზღვრულია 30 კალენდარული დღით. სამედიცინო დაწესებულების მიერ დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ანგარიშ-ფაქტურა, კალკულაცია ფორმა #IV-100/ა, შეტყობინება, შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული, წარდგენილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. დოკუმენტაციის მიღებიდან კი, მზღვეველს აქვს 20 სამუშაო დღე დოკუმენტაციის დასამუშავებლად, შემდეგ კი ისევ 10 დღე, რომ მოახდინოს ანგარიშსწორება. დამუშავებისთვის განკუთვნილი 20 დღის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებას წერილობით უნდა ეცნობოს არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ და უფლება მიეცეს შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში გამოასწოროს ხარვეზი და გადააგზავნოს საჭირო დოკუმენტაცია. მსგავსი შემთხვევების ასანაზღაურებლად კი სადაზღვევო კომპანიას ეძლევა საშუალოდ 15 სამუშაო დღე თანხის ასანაზღაურებლად. რაც შეეხება დაკორექტირებულ შემთხვევებს, მათი დამუშავების ვადების სტანდარტიზაცია შეუძლებელია, რადგან თითოეული შემთხვევა არის ინდივიდუალური, საჭიროებს ინდივიდუალურ გამოკვლევას და ხშირ შემთხვევაში, საკითხი მიდის სასამართლომდე, რაც გულისხმობს, რომ ანაზღაურების საკითხი შესაძლოა გაიწელოს ერთ, ორ ან მეტ თვეზე, თუნდაც წელზე.

ფასდაკლება

სამედიცინო დაწესებულებასა და სადაზღვევო კომპანიას შორის ურთიერთობის საწყის ეტაპზე სამედიცინო დაწესებულება სადაზღვევო კომპანიას აწვდის თითოეული მომსახურების ფასს. შემდეგ ეტაპზე ხდება ორივე მხარისთვის მისაღები ფასის შეთანხმება, შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების შიდა სტანდარტის ფასი ხშირ შემთხვევაში კორექტირდება მზღვეველთან შეთანხმებით და დგინდება ფასთა ჩამონათვალი (ე.წ. price list). სამედიცინო დაწესებულება ამ შემთხვევაში შესაბამისი

კონტრაქტით ფასდაკლებას ავრცელებს სადაზღვევო კომპანიაზე, ან ქმნის ცალკე ფასთა ჩამონათვალს მისთვის. რიგ შემთხვევებში, სამედიცინო დაწესებულებას უფლება აქვს შეცვალოს ფასები, მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასდაკლების პროცენტი უცვლელი რჩება.

კორექტირებისა და ფასდაკლების კავშირს თუ განვიხილავთ, მთავარ პრობლემად ფასების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა გამოვლინდება. ხშირად სამედიცინო დაწესებულება დროულად არ აწვდის სადაზღვევო კომპანიას ინფორმაციას ფასების ცვლილების შესახებ. ამ დროს სადაზღვევო კომპანია სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოს ძველი ფასით ანაზღაურებს. აღსანიშნავია, რომ ფასდაკლება მოქმედებს მხოლოდ მიმართვით და არა თვითდინებით მიღებული პაციენტის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში მზღვეველს წარმოექმნება ვალდებულება – დაზღვეულს თანხა აუნაზღაუროს შიდა სტანდარტით დადგენილი ფასის მიხედვით და არა მისთვის სპეციალური ფასის ფარგლებში.

დასკვნა

კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა სადაზღვევო კომპანიებსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის ურთიერთობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი პრობლემები, რაც ხშირ შემთხვევაში ხდება კორექტირების მიზეზი. ბოლო წლებში გამოიკვეთა სადაზღვევო კომპანიებსა და საავადმყოფოებს შორის ურთიერთობის პრობლემები. სადაო საკითხები დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთან, მათ შორისაა: ჭანდაცვის ხარჯების ზრდა, ანაზღაურების შესახებ დავების წარმართვა და სადაზღვევო პოლისების სირთულე. ამ გამოწვევებმა გაართულა პარტნიორობა მზღვევლებსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის, რამაც გამოიწვია ნდობის შემცირება.

ერთ-ერთი მთავარ პრობლემად რჩება ანაზღაურების ტარიფებთან დაკავშირებული უთანხმოება. ხარჯების შესამცირებლად სადაზღვევო კომპანიები ხშირად აწარმოებენ მოლაპარაკებებს დაბალ ტარიფებზე, ხოლო

საავადმყოფოები ცდილობენ სამართლიანი კომპენსაციის მიღებას, რათა ადეკვატურად დაფარონ თავიანთი ხარჯები. მსგავსი სახის უთანხმოებები იწვევს საავადმყოფოებზე მძიმე ფინანსურ დარტყმას, როდესაც სამედიცინო ორგანიზაცია იძულებული ხდება პაციენტების სამედიცინო მომსახურება აწარმოოს შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში.

გარდა ამისა, სადაზღვევო კომპანიებს აქვთ უპირატესობა – შეავინროვონ დაზღვეულებისთვის არეალი, პროვაიდერთა სიიდან ამოიღონ გარკვეული საავადმყოფოები, რაც ზღუდავს პაციენტების უფლებას სამედიცინო მომსახურება მიიღონ მათთვის სასურველ დაწესებულებაში. ერთ-ერთი პრობლემური საკითხია სადაზღვევო პოლისების რთული და დამაბნეველი ბუნება. დაზღვეულებს ხშირად უჭირთ მათი დაფარვის ლიმიტების გაგება, რაც იწვევს მოულოდნელ ხარჯებს და სადაო საკითხი ხდება. საავადმყოფოები ცდილობენ ამ რთულ სქემას მოერგონ და მოითხოვონ დაფინანსება, რაც იწვევს ანაზღაურების დაგვიანებას და ზრდის სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯებს. ეს გამოწვევები ქმნის შეუსაბამო გარემოს მონაწილე მხარეებისთვის და ხელს უწყობს ურთიერთობების დაძაბვას. ამ პრობლემების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა. სადაზღვევო კომპანიებსა და საავადმყოფოებს შორის გაუმჯობესებულმა კომუნიკაციამ და გამჭვირვალობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ნდობის ჩამოყალიბებას და უფრო კორპორატიული გარემოს შექმნას. კონფლიქტების გადასაჭრელად აუცილებელია ღია დიალოგში ჩართვა, მონაცემების გაზიარება და მკაფიო მოლოდინების ჩამოყალიბება ანაზღაურების განაკვეთებთან და დაფარვის პოლიტიკასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ორივე მხარემ უნდა იმუშაოს მარეგულირებელი წესების ფარგლებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ანაზღაურების სამართლიან განაკვეთებს და სტანდარტიზებულ სადაზღვევო პოლისებს. ასეთ ზომებს შეუძლია შეამციროს უთანასწორობა სადაზღვევო კომპანიებსა და საავადმყოფოებს შორის.

საქართველოში სადაზღვევო კომპანიებსა და საავადმყოფოებს შორის ურთიერთობის პრობლემები მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს თანამშრომ-

ლობას, გამჭვირვალობას და მარეგულირებელ რეფორმებს. ამ გამოწვევების ძირეული მიზეზების მოგვარებით და თანამშრომლობის სულისკვეთებით, შესაძლებელია უფრო მდგრადი და პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის შექმნა.

რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სამედიცინო დაწესებულებებისა და სადაზღვევო კომპანიებს შორის კორექტირების მინიმალურ დონემდე დასაყვანად შესაძლოა გაიცეს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. დაინერგოს ინტეგრირებული პროგრამები, სადაც ორივე მხარე მიმდინარე პროცესში გააკონტროლებს დაზღვეულის მიმართვებს, ლიმიტებს, დიაგნოზებსა და მკურნალობის მეთოდის შესაბამისობას.
2. მიზანშეწონილია ადმინისტრაციული და სამედიცინო პერსონალის ტრენინგების ხელშეწყობა, მზღვეველის და სამედიცინო ორგანიზაციის პრიორიტეტების, თავისებურებებისა და თანამშრომლობის სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. სამედიცინო დაწესებულების ყველაზე ხშირად დაკორექტირებული შემთხვევების მუდმივი სიღრმისეული კვლევა, მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზების საპოვნელად.
4. მონაცემების სიჭარბიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მეთოდების დანერგვა, რათა ზედმეტი ძალისხმეების გარეშე მოხდეს დაკორექტირებული ქეისების ანალიზი.
5. სადაზღვევო კომპანიებსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს უნდა დაემატოს პუნქტი მომხმარებელთა კმაყოფილების შესახებ. ანაზღაურების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული პაციენტისგან მიღებული უკუკავშირი. მსგავსი ჩანაწერი მკვეთრად გაზრდის მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Freund, T., Gondan, M., Rochon, J., ... Wensing, M., Szecsenyi, J. (2013). Comparison of physician referral and insurance claims data-based risk prediction as approaches to identify patients for care management in primary care: An observational study. *BMC Family Practice*, pp. 14, 157.
2. Irving, A., Prager, A., Standley, C. A. (2010). customizable plan for effective claims management. *J Healthc Risk Manag*, 30 (2).
3. Porter, C.N., Taylor, R., Harvey, A.C. (2022). Applying the asymmetric information management technique to insurance claims. *Applied Cognitive Psychology*, 36 (3), pp. 602–611.
4. Sodzi-Tettey, S., Aikins, M., Awoonor-Williams, J.K., Agyepong, I.A. (2012). Challenges in provider payment under the Ghana National Health Insurance Scheme: a case study of claims management in two districts. *Ghana medical journal*, 46(4), pp. 189–199.
5. Mahlow, N., Wagner, J. (2016). Evolution of Strategic Levers in Insurance Claims Management: An Industry Survey. *Risk Management and Insurance Review*, 19(2), pp.197–223;
6. Bhat, R., Reuben, E.B. (2002). Management of claims and reimbursements: The case of Medclaim insurance policy. *Vikalpa*, 27(4), pp. 15–28.
7. Gowanit, C., Thawesaengkulthai, N., Sophatsathit, P., Chaiyawat, T. (2016). Mobile claim management adoption in emerging insurance markets: An exploratory study in Thailand. *International Journal of Bank Marketing*, 34(1), pp. 110–130.